ნიკოლოზ ბარათაშვილის მოედანი №23/ჩახრუხაძის ქ. №29

(წინასაპროექტო ისტორიულ-არქიტექტურული კვლევა)

საკვლევი ტერიტორიის განსაზღვრა და უბნის განვითარების მოკლე ურბანულ-ისტორიული მიმოხილვა.

საკვლევი ტერიტორია მდებარეობს ძველი თბილისის რაიონში, ისტორიულ ზემო კალას უბანში. დღევანდელი ბარათაშვილის, ჩახრუხაძისა და შავთელის ქუჩებით მოსაზღვრულ განაშენიანებაში.




1. კალას საერთო ხედი. XX საუკუნის დასაწყისი.

ქალაქის ცენტრალური ნაწილი - კალა შემოსაზღვრული იყო კედლით, რომელიც იწყებოდა ქალაქის ციტადელტან, მიუყვებოდა სალალაკის ქედის კეხს, შემდეგ თავქვე ეშვებოდა ჩრდილოეთისკენ - დღევანდელი დადიანის და პუშკინის ქუჩების გავლით ბარათაშვილის ქუჩაზე ჩადიოდა და აქ მტკვრისკენ უხვევდა, დაახლოებით იქ, სადაც ახლა ბარათაშვილის ხიდია - ვახუშტის გეგმის მიხედვით კედელი სამხრეთითვე ბრუნდებოდა და მარჯვენა ნაპირის გაყოლებით თათრის მეიდნამდე გრძელდებოდა.

კალას ქვემო და ზემო უბნად ჰყოფდა მისი მთავარი არტერია – შუა ბაზარი (გვიანდელი სომხის ბაზარი, დაახლოებით ემთხვევა ახლანდელ ლესელიძის ქუჩას). ამ ხაზის ჩრდილოეთით და ჩრდილო-აღმოსავლეთით ზემო უბანი იყო, სამხრეთით და სამხრეთ-დასავლეთით – ქვემო უბანი (უბნებს „ზემო" და „ქვემო" მტკვრის დინების მიხედვით შეერქვა). ზემო კალა უპირატესად ქართული არისტოკრატიის უბნად იქცა XVII საუკუნის შუახანებიდან, როცა როსტომ მეფემ სამეფო რეზიდენცია ციხის ტერიტორიიდან აქ გადმოიტანა და სასახლე აიშენა. აქვე იყო ბატონიშვილებისა და თავადაზნაურთა სახლები, კათალიკოსის რეზიდენცია და ქართული ეკლესიების უმეტესობა (სიონი, ანჩისხატი, კარის წმ. გიორგი, კვირაცხოველი და სხვა). ორსავე უბანს თავისი ცენტრი ჰქონდა. ზემო კალას ცენტრი იყო ბატონის მოედანი მეფის სასახლის წინ – მდებარეობდა ახლანდელი ერეკლეს მოედნისა და საპატრიარქოს შენობის სამხრეთით, ხოლო ქვემო კალაში – მტკვრის ნაპირთან ახლოს მდებარე დიდი მოედანი, რომელიც დაახლოებით ემთხვეოდა ახლანდელ ვახტანგ გორგასლის მოედანს. ფრანგი მოგზაურის ჟან შარდენის, რომელიც თბილისში 1672 წელს ჩამოვიდა, ნახატზე კალაში მხოლოდ ეს ორი მოედანია ნაჩვენები: la Place du Prince („ბატონიშვილის მოედანი") ზემო კალაში, მეფის სასახლის გვერდით და la Place d'armes („საწვრთნელი მოედანი") ქვემო კალაში, გვიანდელი მეიდნის ადგილას. ასეთივე სურათია ვახუშტი ბატონიშვილის 1735 წლის გეგმაზეც (კალას უბნში დღეს არსებული იერუსალიმის, პურისა და გუდიაშვილის მოედნების ადგილას ვახუშტის რუკაზე მთლიანი განაშენიანებაა აღნიშნული. ანალოგიური მდგომარეობაა 1802 წლის გეგმის მიხედვითაც).

ვახუშტის გეგმაზე შენობების საერთო ფონზე მკაფიოდ არის გამოყოფილი ზემო კალას უბნის მთავარი მაგისტრალები - ამ ქუჩების მიხედვით შეიძლება ვიფიქროთ, რომ კალას მაშინდელი გეგმის ძირითადი "ჩონჩხი" დღემდეა შემორჩენილი. ჩანს, რომ უკვე გაყვანილია ის ხაზი, რომელიც მცირეოდენი ცვლილებებით დღევანდელ ვერცხლის ქუჩას შეესაბამება. აქ იყო "დიღმის", იგივე "შუა კარი" (დღევანდელი ბარათაშვილის, პუშკინის და ვერცხლის ქუჩების შესაყართან მდებარეობდა. აქედან იწყებოდა გზა დიღმისაკენ – ექსპლიკაციაში აღნიშნულია №22-ით). ვ. ბერიძის აზრით, ვერცხლის ქუჩასთან დაკავშირებული

ქუჩების განლაგება დღევანდელ ავლევის (ყოფილი ფომინის) და ნიშნიანიძის (ყოფილი პოლიციის) ქუჩების განლაგებას ემთხვევა. ერთი მათგანი, რომელიც ნიშნიანიძის ქუჩის წინაპრად შეიძლება მივიჩნიოთ, თითქმის პარალელურად მისდევს კალას ჩრდილოეთ გალავანს და "ქვემო კართან" მთავრდება (ეს სახელი ამ კარს შეერქვა იმის გამო, რომ იგი მტკვრის მარჯვენა მხარეს მდებარე ხუთ კართაგან ყველაზე ქვევით იყო. ამ კარში გზა ავანაანთ ხევზე გადებული ხიდით შედიოდა ექსპლიკაციაში აღნიშნულია №24-ით), რომელიც დაახლოებით ბარათაშვილის ხიდის ყურესთან მდებარეობდა, ბარათაშვილისა და შავთელის ქუჩების შესაყართან - ჩვენთვის საინტერესო ტერიტორიის მახლობლად. გალავნის შუაწელზე დღევანდელი ბარათაშვილის და ჩახრუხაძის ქუჩების გადაკვეთასთან იყო "მეიდნის კარი" (ექსპლიკაციაში აღნიშნულია №23-ით), რადგან აქედან გზა ხიდზე გავლით მეიდნისაკენ მიდიოდა, სადაც ასპარეზი მდებარეობდა (ალექსანდრეს ბაღის ქვედა ტერასის ადგილას).




2. ვახუშტი ბატონიშვილის 1735 წლის გეგმა.

"ქვემო კართან" (№23) იწყებოდა კალას ერთ-ერთი მთავარი არტერია, რომელიც მტკვრის პარალელურად ანჩისხატისკენ და შემდგომ სიონისკენ მიემართებოდა. ამ ხაზზე იყო ჩამწკრივებული ანჩისხატსა და სიონის ეკლესიები, ქარვასლები,

არისტოკრატიის სასახლეები. “ქვემო კართან” ყველაზე ახლოს მუხრან ბატონის სასახლე იყო (ექსპლიკაციაში აღნიშნულია №10-ით).

კალას უბნის განვითარების ხასიათი ფეოდალური ეპოქის მანძილზე - XIX საუკუნის დასაწყისამდე უცვლელი დარჩა. მხოლოდ რუსეთთან შეერთების შემდეგ იწყება აღა-მაჰმად ხანის შემოსევების შედეგად დანგრეული კალას ხელახალი განაშენიანება: დანგრეული სამეფო სახლის ადგილას 1807 წელს აშენდა სახელმწიფო დაწესებულება (Присуственные места), იქვე აიგო გუბერნატორის სახლი. მოგვიანებით, 1830-იანი წლების ბოლოს გადაიხურა სალალაკის ქედიდან მომდინარე ხევი (ე.წ. ავანაანთ ხევი), რომელიც ახლანდელი პუშკინისა და ბარათაშვილის ქუჩების ხაზს მისდევდა და მტკვრამდის ჩადიოდა. ამის შემდეგ 1840-50-იან წლებში სწრაფად შენდება ხევის ადგილას წარმოიქმნილი მუხრანის (დღევანდელი ბარათაშვილის) ქუჩა, რომელსაც თავიდან “კრეპოსტნოი ბულვარი” ერქვა (მის გასწვრივ ძველად არსებული კალას გალავნის გამო, რომელიც ამ დროს უკვე მოშლილი იყო).



3. 1867 წლის თბილისის რუკა.

თბილისის მომდევნო პერიოდის, მაგალითად, ***1867 და 1902 წლების რუკების*** შედარება გვიჩვენებს განაშენიანების სტრუქტურის თანდათანობით ცვლილებას ბარათაშვილის ქუჩის ჩვენთვის საინტერესო მონაკვეთში. ორივე მათგანზე გამოკვეთილია ბაგრატიონის (დღევანდელი ჩახრუხაძე) და ანჩისხატის (დღევანდელი შავთელი) ქუჩები, თუმცა 1867 წლის რუკაზე მათ შორის მოქცეული განაშენიანება დანაწევრებულია და ანჩისხატის ქუჩაც უფრო ფრაგმენტულია, მაშინ როდესაც ბაგრატიონის ქუჩა უკვე საბოლოო სახით არის ჩამოყალიბებული; 1902 წლის რუკაზე კი იგივე ქუჩებით მოსაზღვრულია მომცრო, ირეგულარული გეგმარების მქონე კვარტალი, ანუ ამ პერიოდის განმავლობაში შეიცვალა ადგილის მორფოლოგია - განაშენიანება შემჭიდროვდა და გეგმარებაც უფრო კომპაქტური გახდა.



4. 1902 წლის თბილისის რუკა.


XIX საუკუნეში განახლებული ძველ უბნებში შენობების აღდგენა ძველ ნაფუძარზე ხდებოდა, რის გამოც დიდწილად შენარჩუნდა ქალაქის შუასაუკუნეობრივი ქსელი და ირეგულარული კონფიგურაციის განაშენიანება. ბევრმა სახლმა შეინარჩუნა მიწისქვეშა სარდაფები.



5. მუხრანის ქუჩა. XIX საუკუნის ბოლო.

საყურადღებო დეტალები გამოიკვეთა საარქივო ფოტომასალის შესწავლის შედეგადაც – XIX საუკუნის მიწურულისა და XX საუკუნის დასაწყისის ფოტოებზე ნათლად ჩანს საპროექტო შენობის მომდებარე სახლი (შავთელის ქ. №26) – ე.წ. ესებრი გეგმის მქონე შენობა. მისი შავთელის ქუჩის ფასადის ავთენტური სახე დღემდე შენარჩუნებულია, ხოლო ბარათაშვილის ქუჩის ფასადი, რომელიც მუხრანის ქუჩის ხაზზე გამოდიოდა, თავდაპირველად ტორსოს ყრუ ფასადს წარმოადგენდა და უშუალოდ მასზე იყო მჭიდროდ მიჯრილი შედარებით დაბალი განაშენიანება. ეს შენობები საბჭოთა პერიოდში ქუჩის გაფართოების მიზნით დაანგრიეს.

ფოტოზე ასევე ჩანს შენობის ეზოს ფასადის თაღოვანი აივნის ჭვირული ფარდები (სურათი 5, 6 და 7), დღეს ეს აივანი მონგრეულია - ფასადი სრულიად გაუსახურებულია და მძიმე ავარიულ მდგომარეობაშია. კედლის სიბრტყეზე შემორჩენილია ძველი აივნის ხის ჩარჩო (სურათი 9).



6. მუხრანის ქუჩა. XX საუკუნის დასაწყისი.



7. შავთელის ქ. №26 სახლი XX საუკუნის დასაწყისის ფოტოსურათზე.




8. შავთელის ქ. №26 – დღევანდელი მდგომარეობა.



9. შავთელის ქ. №26 – ზურგის ფასადი.

1980-იანი წლების რესტავრაციის დროს უცვლელად იქნა შეინარჩუნებული შავთელის ქუჩის ფასადი - გვიანი კლასიციზმისათვის დამახასიათებელი პროფილებით დამუშავებული (კანელურებიანი პილასტრები, შვერილი თაროებით ხაზგასმული სწორკუთხა ღიობები, პროფილირებული სარტყელები სართულშუა გადახურვებთან, ლითონის კრონშტეინებზე შეკიდული აივანი და სხვა) და ქვის ბალუსტრადით დასრულებული, მაშინ როდესაც არსებითად შეიცვალა ბარათაშვილის ქუჩის ყრუ ფასადი – აქ დეტალურად არის გამეორებული თავდაპირველად არსებული ფასადის არიტექტურული დეტალები, თუმცა ამ უკანასკნელის ფრონტი უფრო წაგრძელებულია და ღიობებიცა და არქიტექტურული პროფილებიც სიმეტრიულად ნაწილდება და რიტმულად მეორდება. აქ ფასადის მთავარი აქცენტი მძლავრ ტოსკანურ სვეტებზე დაფუძნებული, აჟურული დეკორით შემკული შეკიდული აივნებია, რომელთა ორნაწილედი კომპოზიციის შესაქმნელად გართულებული ორდერია გამოყენებული (სურათი 7, 8 და 9).



10. მუხრანის ქუჩა და ხიდი. 1910-იანი წლები.

საარქივო ფოტოების შედარება ქალაქმშენებლობითი პროცესების დინამიკასაც ავლენს - საპროექტო ტერიტორიის ირგვლივ ხანმოკლე პერიოდში – XIX საუკუნის ბოლო ათწლეულებსა და XX საუკუნის პირველი ათწლეულის განმავლობაში ცოცხალი სამშენებლო პროცესი მიმდინარეობს, თუმცა განაშენიანების ბირთვი უცვლელია, მაგრამ ტრანსფორმაციას განიცდის ცალკეული მუკრო-სტრუქტურები (სურათები 5, 6 და 10).

1911 წელს უკრაინელი ინჟინრის ევგენი პატონის პროექტის მიხედვით ახალი ხიდი აიგო, რომელმაც ქალაქის ცენტრი მტკვრის მარცხენა სანაპიროსთან მოკლე გზით დააკავშირა (სურათი 10). 1965 წელს ძველი ხიდის ადგილას ახალი ორიარუსიანი ხიდი აშენდა (ინჟინერი გ. ქარცივაძე, არქიტექტორები შ. ყავლაშვილი და ვ. ქურთიშვილი).

პირველი მნიშვნელოვანი სტრუქტურული ცვლილება ბარათაშვილის ქუჩაზე 1940-იან წლებში ქუჩის გაფართოების მიზნით, ძველი სახლების ნგრევით და გარეთუბნის მისადგომზე ახალი მსხვილმასშტაბიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობით, დაიწყო (შენობა 1940 წელს აშენდა, არქიტექტორების ს. დემჩინელის, ა. ქურდიანისა და გ. ჯანდიერის პროექტის მიხედვით). .





11. ბარათაშვილის ქუჩა 1940-იანი წლების რეკონსტრუქციამდე და შემდგომ.

შემდგომი ურბანული ცვლილება 1970-იანი წლების ბოლოს განხორციელდა. მსხვილმასშტაბიანი სამუშაოები ქალაქის რამდენიმე ნაწილში ერთდროულად

მიმდინარეობდა მტკვრის ორივე სანაპიროზე. ისტორიული განაშენიანების რეკონსტრუქციის ამოცანისადმი კომპლექსური მიდგომის პირველი მცდელობა იყო ბარათაშვილის ქუჩის იმ ნაწილის განახლება, რომელიც ზემო კალას უბნის „სასაზღვრო ზოლს“ წარმოადგენდა (რეკონსტრუქცია შ. ყავლაშვილის ხელმძღვანელობით ჩატარდა). ამ პერიოდში დაანგრიეს ძველი შენობები, რომლებიც კალას ჩრდილოეთის კედლის აფეთქებისა და ხევის ამოვსების შემდეგ გაშენდა ქუჩის გასწვრივ. ამ რეკონსტრუქციამდე ჯერ კიდევ გაირჩეოდა დიღმის კარის ნაშთები. საპროექტო წინადადებით გადაწყდა ქუჩა ძველი გალავნის ხაზამდე გაფართოებულიყო. აღდგენილიყო გაგანიერებული ქუჩის პირზე გამოსული კოშკებისა და კედლების ნაწილი და გალავანზე გადმომდგარი XIX საუკუნის სახლები.



12. რესტორანი “მუხრანთუბანი”. 1980-იანი წლების ფოტო.

ქუჩის დასაწყისში მდებარე სახლებს დღემდე საცხოვრებელი ფუნქცია აქვთ შენარჩუნებული, ქვედა ხაზზე მდებარე შენობები ადაპტირებულია სხვადასხვა

დანიშნულების შესაბამისად - ასეთებია ქორწინების სახლი, რესტორანი "მუხრანთუბანი", მარიონეტების თეატრი (სურათი 12).

ქუჩის ფასადი მხატვრულ-არქიტექტურული თვალსაზრისით არაერთგვაროვანია. წინა ხაზზე "გამოტანილი" ფასადების განახლებისას აქცენტი ძირითადად გადატანილი იყო სივრცის მხატვრულ-ესთეტიკურ მოწყობაზე. ამ პროცესების შედეგად ბარათაშვილის ქუჩამ დღევანდელი ურბანული სახე მიიღო.

აღსანიშნავია, რომ საბჭოთა პერიოდში სხვადასხვა ეტაპზე (1940 და 1970-იან წლებში) ჩატარებული სარეკონსტრუქციო სამუშაოების შედეგად ბარათაშვილის ქუჩის განაშენიანების ორ მხარეს ერთმანეთისგან მკვეთრად განსხვავებული მასშტაბი და არქიტექტურული გარემო ჩამოყალიბდა. მეორე მხრივ კი, 1970-იანი წლების რეკონსტრუქციამ მკაფიოდ გამოჯნა შუასაუკუნეებრივი ბირთვი ისტორიული გარეთუბნისაგან.

პოსტსაბჭოთა პერიოდში და განსაკუთრებით უკანასკნელ წლებში ისტორიულ უბნებში მიღებული სამშენებლო ნორმების სრული დარღვევით აიგო ახალი შენობები, რომლებმაც მკვეთრი დისონანსი შეიტანა ძველ განაშენიანებაში. ყველაზე დამახასიათებელი მაგალითია ამჟამად მიმდინარე მშენებლობა ბარათაშვილისა და შავთელის ქუჩების კუთხეში. 2012 წელს შავთელის ქ. №17 და №17ა შენობები დაანგრიეს და ახალი რკინა-ბეტონის კონსტრუქციის მშენებლობა დაიწყეს. ამგვარმა ქალაქმშენებლობითმა წარმონაქმნმა უკვე აშკარად დაარღვია ქუჩის სივრცითი სტრუქტურა და სივრცითი წონასწორობა ასე თუ ისე ჩამოყალიბებულ განაშენიანებაში.

ამ მშენებლობას ემსხვერპლა XIX საუკუნის შუა პერიოდის შენობა (შავთელის ქ. №17) - მისი მთავარი ფასადი სადარბაზოს კარით, ხის ჭიშკრითა და მეორე სართულის შეკიდული ხის აივნით შავთელის ქუჩაზე გამოდიოდა, ხოლო ეზო მის სივრცეში შექმნილი მცირე კურდონიერით, სანაპიროსკენ იყო გახსნილი.

შავთელის, ბარათაშვილის ქუჩებისა და სანაპიროს შორის მოქცეულ მონაკვეთზე ბოლო დრომდე იდგა "ბავშვთა სურათების გალერეის" შენობა. მისი სახე მთლიანად შეიცვალა 1970-იანი წლების რეკონსტრუქციისას. ადრე ბარათაშვილის ქუჩაზე სახლი ყრუ ფასადით გამოდიოდა. შენობის არქიტრქტურა სტილიზაციის

ნიმუშს წარმოადგენდა. ეს შენობა ამთავრებდა ბარათაშვილის ქუჩის განახლებულ ანსამბლს.

საპროექტო შენობები და მიმდებარე განაშენიანება

საპროექტო ობიექტი ორი შენობისაგან შედგება, რომლებიც არქიტექტურული თვალსაზრისით მკაფიოდ განსხვავდება ერთმანეთისაგან: ორსართულიანი შენობა ჩახრუხაძის ქუჩის კუთხესთან (ჩახრუხაძის ქ. №29), თავისმხრივ, ორი ურთიერთდაკავშირებული სეგმენტისაგან შედგება, რომლებსაც სივრცითი უბე აერთიანებს. ეს უკანასკნელი დეკორატიული ჭიშკრით არის მოსაზღვრული. სახლს მამკობი ელემენტები არ გააჩნია - სისადავის მიუხედავად, აღნიშნულ შენობას ურბანულ ღირებულებას სძენს მთელი რიგი მახასიათებლები - უბნის მასშტაბთან შესატყვისობა, რელიეფისა და კამერული სივრცითი კონტექსტის გათვალისწინება, რაც გვაფიქრებინებს, რომ ის ძველი განაშენიანების ორგანული ნაწილია.



13. ჩახრუხაძის ქ. №29 – საპროექტო შენობა.

სახლს გადახურვის პერიმეტრის სიღრმეში აქვს მომცრო მანსარდის სართული. სრული სიმაღლით ის ზურგის კედლისკენ გადის. შენობის ზურგის ნაწილი განსაკუთრებით ცუდ მდგომარეობაშია. კედელი გამობურცულია და დეფორმირებული. თვალსაჩინოა ბზარები წინა ფასადზეც მოცულობების შეერთების ადგილებში.



14. ჩახრუხაძის ქ. №29 – ზურგის კედელი.

ზურგის მხრიდან მას ნაკაშიძეებისა და ჩახრუხაძის ქუჩების შესაყართან მდგომი ორსართულიანი საცხოვრებელი სახლი ესაზღვრებოდა - ჩახრუხაძის ქ. №27, რომელიც სულ რამდენიმე წლის წინდაინგრა. ახლა მხოლოდ მისი ზურგის კედელი, კედლის ნიშები და ძველი ბუხრების ფრაგმენტებია შემორჩენილი, რომელთაგან ერთი ყურადღებას იქცევს კუთხის მდებარეობით და დახვეწილი პროფილებით.

მეორე საპროექტო შენობა (ბარათაშვილის მოედანი №23), რომელშიც სასტუმრო "მუხრანთუბანია" განთავსებული, წინასაგან განსხვავებით, ხელოვნური

დეკორატიულობით გამოირჩევა. მესამე სართულის აივნის მოაჯირი და ფარდები ჭვირულად არის მოხარატებული. ქუჩისკენ გახსნილი ხის აივნები ძველთბილისური ეზოს იმიტაციას წარმოადგენს – გეგმაში Г-ებრი შენობის სამ იარუსიანი აივნები ეზოს ორი მხრიდან უვლის, მესამე მხრიდან კი, მას მიმდებარე შენობის - ჩახრუხაძის ქ. №29-ის ყრუ კედელი საზღვრავს. ეზოს მარცხენა მონაკვეთში მოწყობილი ხის რიკულებიანი კიბე მეორე და მესამე სართულების აივნისაკენ მიემართება.



15. ბარათაშვილის მოედანი №23 – საპროექტო შენობა.

ერთგვარი ხელოვნურობა ხაზგასმულია მიმდებარე შენობების არქიტექტურის ხასიათითაც – ერთი მხრივ, სადა, უპრეტენზიო, მხოლოდ სივრცით აქცენტებზე აგებულ შენობას, ხოლო, მეორე მხრივ, ნეოკლასიცისტური ფორმების მქონე ნაგებობას შორის მოქცეული ღია აივნებიანი სივრცე გარკვეულ თეატრალურობას იძენს.

აღნიშნული შენობები ქუჩის წითელი ხაზიდან მნიშვნელოვნად არის სიღრმეში შეწეული, რის გამოც ჩახრუხაძის და შავთელის ქუჩებით მოსაზღვრული მონაკვეთი, რომელიც მხოლოდ ამ სამ შენობას მოიცავს, ცალკე არქიტექტურულ ჯგუფს ქმნის ქუჩის ერთიან განაშენიანებაში.

შენობამ დღევანდელი სახით ჩამოყალიბებამდე რამდენიმე სამშენებლო ეტაპი გაიარა. მისი თავდაპირველი სახე ამჟამად უცნობია, თუმცა ერთი რამ ცხადია, რომ ის განაშენიანების სიღრმეში იყო მოქცეული და მას მუხრანის ქუჩის პირას განლაგებული შენობები ფარავდა. მისი ამჟამად არსებული არქიტექტურული სახე 1970-იანი წლების ბოლოს ჩატარებული რეკონსტრუქციისა და 1990-იან წლებში გაჩენილი ხანძრის შემდგომი აღდგენის შედეგია.



16. ბარათაშვილის მოედანი №23 – საპროექტო შენობის სარდაფი.

საკვლევ შენობას, ისევე როგორც კალას უბანში განლაგებული სახლების დიდ ნაწილს, აქვს ძველი სარდაფი – რაც ერთმნიშვნელოვნად მიანიშნებს, რომ სახლი ძველ საძირკველზეა აგებული – ქვა-აგურის შერეული წყობაც სიძველეზე მიგვანიშნებს (სურათი 16).

კუთხეებთან შემორჩენილია ორი მსხვილი პილონისებრი ბურჯი, რომლებიც მძლავრი თაღის საყრდენს წარმოადგენდა. თაღი ამჟამად ჩამონგრეულია, ან შენობის რეკონსტრუქციის დროს არის გადაჭრილი და ბრტყელი, შეფიცრული ჭერია მოწყობილი. კედლის სიბრტყეში გამოყვანილია დიდი ნიშები და ბუხარი.

დასკვნა და რეკომენდაციები

საკვლევი შენობები და მისი მიმდებარე ტერიტორია თბილისის უძველესი უბნის – კალას ნაწილია. კალა ქალაქის დაარსების დროიდან იყო გაშენებული. ის წარმოადგენდა შუა საუკუნეების თბილისის მთავარ უბანს და მოიცავდა ტერიტორიას მდ. მტკვარს, ნარიყალასა და ახლანდელ დადიანის, პუშკინისა და ბარათაშვილის ქუჩებს შორის. უძველესი ადგილი 1970-იანი წლების მიწურულს ჩატარებული რეკონსტრუქციისას საბოლოოდ შეიცვალა, როდესაც ბარათაშვილის ქუჩის განაშენიანების ეს რიგი ჩამოყალიბდა.

ბარათაშვილის ქუჩის 1940-50-იანი წლების განაშენიანებას საბჭოთა პერიოდისათვის დამახასიათებელი იმპოზანტურობა და მსხვილმასშტაბიანობა ახასიათებს, თუმცა ქუჩის განაშენიანების ეს ნაწილი გაცილებით ფუნქციონალურია და რეალური ურბანული დატვირთვის მატარებელი, ვიდრე მისი მოპირდაპირე მხარე - ხელოვნურად შექმნილი, საფასადო არქიტექტურა, რომელსაც შეიძლება ითქვას, რომ "სურათოვან-დეკორატიული" სახე უფრო აქვს, ვიდრე ძველი ქალაქის უბნისათვის დამხასიათებელი ორგანულობა, რასაც ჯერ კიდევ ვხვდებით ახლო მდებარე ქუჩებში (ვერცხლის, ნიშნიანიძის, ნაკაშიძეების და სხვა ქუჩები).

- საპროექტო შენობების გარეგანი სახე ისტორიულად ჩამოყალიბებული გეგმარების საფუძველზე 1970-იან წლებში ჩატარებული სარეკონსტრუქციო სამუშაოების შედეგია. მიუხედავად იმისა, რომ მათ არა აქვთ მინიჭებული

კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსი მაინც გასათვალისწინებელია, რომ ეს შენობები უბნის ზოგადი არქიტექტურული გარემოს ნაწილია.

- საკვლევ ტერიტორიაზე ყოველგვარი ჩარევისას გათვალისწინებული უნდა იქნას, რომ მიუხედავად ბარათაშვილის მოედ. №26 შენობის საფასადო სახის ერთგვარი "თეატრალიზებული" იერისა, ის კორექტულად არის ჩართული მიმდებარე განაშენიანების კონტექსტში.

- საპროექტო წინადადებით გათვალისწინებული რეკონსტრუქცია - ხის აივნებიანი სეგმენტის წინ მდებარე ეზოს და ღია სივრცის დახურვა არსებითად ახალი „სეგმენტის" გაჩენას გამოიწვევს, ამგვარი ჩარევა საპასუხისმგებლოა და მხოლოდ ძალიან ფაქიზი და განსაკუთრებულად კორექტული მიდგომის შემთხვევაშია დასაშვები.

- შენობა რეკონსტრუქციის შედეგად ადაპტირებულ სტრუქტურას წარმოადგენს - ინტერპრეტაციის შედეგია მისი დღეს არსებული საფასადო სახეც. შესაბამისად ამ ფასადის სახეცვლა კვლავაც შესაძლებელია – დეტალურად უნდა დამუშავდეს ახალი საფასადო სახე: მხატვრული დეტალები, რიტმული დანაწევრება, საერთო კომპოზიცი, ფერი, მიმდებარე შენობებთან კავშირი და სხვა.

- ამგვარი ჩარევა მისაღები იქნება იმ შემთხვევაში, თუ ახალი არქიტექტურული ფორმით 1970-იან წლებში ჩატარებული რეკონსტრუქციის შემდეგ შექმნილი ბუტაფორიულობა და გარკვეული ხელოვნურობა დაიძლევა.

- მნიშვნელოვანია, რომ ახალი არქიტექტურული გადაწყვეტა არ დაუპირისპირდეს ქუჩის და, ზოგადად, კალას უბნის განაშენიანების ხასიათს.

- შესაძლებელია ერთ-ერთ ვარიანტად მოისინჯოს პირველ სართულზე ეზოში შესასვლელი ჭიშკრის და შეკიდული აივნების თემა, მაგალითად, როგორც ეს იყო შავთელის ქ. №17 დანგრეული სახლის შემთხვევაში. მსგავსი ვარიაციები ხშირია თბილისის ისტორიულ განაშენიანებაში.

- ყურადღება უნდა მიექცეს გვერდით მდგომი შენობების ურთიერთმიმართებას – შავთელისა და ჩახრუხაძის ქუჩებით მოსაზღვრული მონაკვეთის ერთიან არქიტექტურულ და გეგმარებით კომპოზიციას.



17. ბარათაშვილის მოედანი №23, ჩახრუხაძის ქ. №29.

- იმ შემთხვევაში, თუ ძლიერი დაზიანების გამო გარდაუვალი გახდება ჩახრუხაძის ქ. №29 სახლის დემონტაჟი, მისი აღდგენისას სასურველია უცვლელი სახით შენარჩუნდეს ყველა მთავარი მახასიათებელი მის წინ არსებული დეკორატიული ჭიშკრითურთ, რომელიც სახლის წინ შექმნილი კამერულ სივრცეში თავისებურ მხატვრულად გამართლებულ ჩანართს წარმოადგენს; უნდა შენარჩუნდეს არსებული შენობის გარე პერიმეტრის სივრცითი კონტური; მოცულობის გაზრდა დასაშვებია მხოლოდ გადახურვის პერიმეტრის სიღრმეში ზურგის კედლის და ბარათაშვილის მოედ. №23

შენობისკენ განავალი ტორსოს გასწვრივ – დღეს არსებული მანსარდის მოცულობის გამოყენებით.

- ამასთან უნდა შენარჩუნდეს ბარათაშვილის მოედ. №23 შენობის მიმდებარე კუთხის დახრილობა – ერთგვარი მკვეთრი სივრცითი "ტეხილი" (სურათი 17). სწორედ ამგვარი გეგმარება და, ამასთან, სხვადასხვა პერიოდის რუკების ანალიზი გვაფიქრებინებს, რომ ადვილი შესაძლებელია საპროექტო შენობების ფუნდამენტი შეიცავდეს სიძველის საყურადღებო ნაშთებს და გვიანფეოდალური ქალაქის დაგეგმარების სტრუქტურასაც კი.
- ნებისმიერ შემთხვევაში აუცილებელია ძველი სარდაფების შენარჩუნება.
- შენობები, რომლებიც ზურგის მხრიდან ესაზღვრება საპროექტო ტერიტორიას, მათ შორისაა მარიონეტების თეატრის ზურგის ფასადი, ძლიერ ამორტიზებულია; შესაბამისად, სარეაბილიტაციო სამუშაოების პროცესში ყურადღება უნდა მიექცეს მათ კონსტრუქციულ მდგრადობას.

ხელოვნებათმცოდნე

მარინა ხატიაშვილი



გამოყენებული ლიტერატურა:

1. ვ. ბერიძე, თბილისის ხუროთმოძღვრება, 1801-1917 წლები, თბილისი, ტ. I, 1960, ტ. II, 1962.
2. ვ. ბერიძე, XVIII საუკუნის თბილისი ვახუშტის გეგმის მიხედვით, თბილისი, 1947.
3. მ. ბერძნიშვილი, თბილისის გარეგანი სახე XVIII საუკუნეში, თბილისი, 1965.
4. თ. კვირკველია, ძველი თბილისის ქუჩებსა და ქუჩაბანდებში, თბილისი, 1989.
5. მაია მანია, ძველი თბილისის სარდაფები, "საქართველოს სიძველენი" №3, 2003.
6. ჟან შარდენის მოგზაურობა სპარსეთსა და აღმოსავლეთის სხვა ქვეყნებში (ცნობები საქართველოს შესახებ), ფრანგულიდან თარგმნა, გამოკვლევა და კომენტარები დაურთო მ. მგალობლიშვილმა, თბილისი, 1975.
7. საქართველოს ისტორიული ქალაქები: თბილისი, მ. ბულიას და მ. ჯანჯალიას რედაქციით, მეორე გამოცემა, თბილისი, 2006.
8. Н. Бадриашвили, Тбилиси, Тифлис, 1957.
9. Т. Квирквелия, Архитектура Тбилиси, Тбилиси, 1985.
10. Тифлис и его окрестности, Тифлис, 1896.